

რომანტიზმის ბუნებისათვის...

ეკა ვარდოშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული
პროფესორი
E-mail: eka.vardoshvili@tsu.ge

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ ოთარ
ჭურღულიას სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა*

აბსტრაქტი. რომანტიზმმა ახალი დატვირთვა შესძინა ლიტერატურას, იგი გახდა სამყაროს მხატვრული ათვისების ფორმა, რომლის ცენტრშიც იდგა ადამიანი.

რომანტიკოსთა პოეზიის საუკეთესო გამოვლინებაა ლორდ ბაირონის პოეზია. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მსოფლიო სევდა, ბაირონი თავისი ცხოვრების წესითა და მხატვრული ნააზრევით ყოველთვის ახლისა და პროგრესულსაკენ მიილტვოდა.

აღსანიშნავია, რომ „ბაირონის პოეზია ევროპულ სივრცეში იქცა ერთგვარ ეტალონად, რომელსაც ადარებდნენ მისი დროის ყველა გამორჩეულ რომანტიკოსს და განსაზღვრავდნენ მათი შემოქმედების ხარისხს“ (ვარდოშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილი უაღრესად ნაციონალური პოეტია, მისი ლირიკული სამყარო ეხმიანება ზოგადსაკაცობრიო აზრებს. ესაა უპირველეს ყოვლისა, ადამიანის დანიშნულების საკითხი საზოგადოებაში, რაც რომანტიზმმა შემოიტანა ლიტერატურაში.

მატერიალისტური მსოფლგაგება, რევოლუციური სულისკვეთება, მართლის თქმის პრინციპი, პროტესტი არსებული სინამდვილისადმი უდევს საფუძვლად ჰაინრიხ ჰაინეს როგორც თეორიულ ნააზრევს, ისე მის მხატვრულ შემოქმედებას.

მიცვევიჩის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი ფორმა თავისუფლებისმოყვარე ლირიკაა, სადაც აისახა მისი რევოლუციურ-პატრიოტული განწყობილობები.

რომანტიზმმა ბრძოლა გამოუცხადა ყოველივე ძველსა და დრომოჭმულს და ახალი იდეები დაამკვიდრა ადამიანის ცნობიერებასა და საზოგადოებაში. მან სამყაროს ცენტრში დააყენა ადამიანი თავისი განცდებით, შინაგანი სამყაროთი და ამით ბრძოლა გამოუცხადა კლასიციკლურ ლიტერატურასა და მის ნორმებს.

საკვანძო სიტყვები: რომანტიზმი, პოეზია, ახალი იდეები, XIX საუკუნე.

რომანტიზმმა ახალი დატვირთვა შესძინა ლიტერატურას, იგი გახდა სამყაროს მხატვრული ათვისების ფორმა, რომლის ცენტრშიც იდგა ადამიანი.

რომანტიზმი, როგორც საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოვლენა მსოფლიოს ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში მკვეთრად აისახა.

ჰეგელის, გოეთეს, ფიხტეს, რუსოს შემოქმედება იყო ერთგვარი საფუძველი შლეგელების, ჰაინეს, ჰიუგოს, ნოვალისის, ტიკის, მადამ დე სტალის რომანტიკულ-თეორიული ნააზრევისა, რასაც პროგრესისა და განვითარებისაკენ მიჰყავდა საზოგადოება.

დაისმის კითხვა: როგორია რომანტიკოსთა დამოკიდებულება არსებული სინამდვილისადმი და რა საზოგადოებრივი ცვლილებებისკენაა მიმართული მათი პოეზია.

რომანტიკოსთა პოეზიის საუკეთესო გამოვლინებაა ლორდ ბაირონის პოეზია. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მსოფლიო სევდა, ბაირონი თავისი ცხოვრების წესითა და მხატვრული ნააზრევით ყოველთვის ახლისა და პროგრესულისაკენ მიილტვოდა.

აღსანიშნავია, რომ „ბაირონის პოეზია ევროპულ სივრცეში იქცა ერთგვარ ეტალონად, რომელსაც ადარებდნენ მისი დროის ყველა გამორჩეულ რომანტიკოსს და განსაზღვრავდნენ მათი შემოქმედების ხარისხს“ [4, 53].

„ჩაილდ ჰაროლდის“ გამოსვლისთანავე პოემის გმირში იცნეს ავტორი. მასში უკვე ჩანს პოეტის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მომავალი

დემონური ნატურის ადრეული პორტრეტი, ძლიერი „მე“, მიზანტროპული ტენდენცია და გასამართლება ყველაფრისა, რითაც ამაყობს ხალხი. გრძნობისა და აზრის თავისუფლება ბუნებაში, რომანტიკულ საბურველში გახვეული თავისუფლების იდეა, ძიება საგმირო საქმისა.

ბაირონის „კაენმა“ მისი თანამედროვე საზოგადოების ღრმა აღშფოთება გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ „კაენის“ ლირიკული სუბიექტი მეამბოხეც ყოფილა. კაენში იბადება კითხვა: რისთვის უნდა უმადლოდეს ადამიანი ღმერთს? ადამიანის ცხოვრება რომელიც სრულებითაც არ არის საამური, სრულდება სიკვდილით. ადამიანები იბადებიან მძიმე შრომისათვის, რომელიც მათი სასჯელია მშობლების ცოდვათა გამო. მხოლოდ ბოროტ ძალას შეეძლო ადამიანი ჩაეგდო მარადიულ ტანჯვაში, რადგან პირველმა ადამიანებმა ვერ გაუძლეს გამოცდას. ბაირონმა ისარგებლა ბიბლიური ლეგენდით, რომელიც შინაარსობრივად ოდნავ შეცვალა. მან ფაქტიურად მოახდინა კანონიკური ტექსტის ინტერპრეტაცია.

„კაენის“ ავტორი თავისი ამბოხებით ღმერთის წინააღმდეგ და კრიტიკული გონებით ფაქტიურად გზას უკაფავს მეცნიერებასა და ახალ პოზიტიურ მსოფლმხედველობას.

რომანტიკოსთა იდეოლოგიის გამომხატველია ასევე ბაირონის „ნაპოლეონის ციკლის“ ლექსები, რომელიც მან 1815-1816 წლებში დაწერა. „ჩაილდ ჰაროლდის“ მოგზაურობაშიც იგი არაერთხელ გვესაუბრება ნაპოლეონზე. „ნაპოლეონის ციკლის“ ლექსებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“. მისი ლექსების და ოდების კითხვისას ნათელია, რომ პოეტს ნაპოლეონის ყველაზე დიდ დამსახურებად მონარქიის დამხობა მიაჩნია.

ნაპოლეონის სახე, როგორც თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო, დამახასიათებელია მსოფლიო პოეზიისათვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჰაინეს „ორი გრენადერი“, ბარათაშვილის „ნაპოლეონ“ და სხვა.

მოწოდება ბრძოლისაკენ, საზოგადოებრივი ცნობიერების გარდაქმნისაკენ საუკეთესოადაა ასახული ბაირონის ლექსში „სტანსები“, რომელიც პოეტმა 1820 წელს დაწერა.

„თუ შენს სამშობლოს არ სჭირდება ახალი სისხლი,
გასწი, მეზობელს მოუპოვე თავისუფლება,

თუ ძველი რომის და ელადის ღირსებას იხსნი,
გმირის სიკვდილით დიდი ნატვრა აგისრულდება.
იყო რაინდი კაცთა მოდგმის - რჩეულთ ხვედრია,
თავისუფლებას არ ჭირდება ბრმა სამანები,
და თუ სიკვდილსაც გადაურჩი, გწამდეს, გელიან
დაფნა, დიდება, შემახილი და ფანფარები“ [1, 223].

ლექსი ჰეროიკული შინაარსისაა და ჩანს პოეტის სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

XIX საუკუნემ ახალ სოციალურ წყობასთან ერთად ახალი ტკივილები და განცდები მოიტანა. ქართველმა არისტოკრატებმა დაკარგა თავისი ფუნქცია. ამიტომ, მათ ყველაზე მეტად განიცადეს ეროვნული თავისუფლების დაკარგვა. ქართველი რომანტიზმისათვის დამახასიათებელია უკმარისობის განცდა, ფილოსოფიურობა და განსაკუთრებული ფაქტებისა და მოვლენების ჩვენება.

„ნიკოლოზ ბარათაშვილი შემოქმედება ქართული რომანტიზმის განვითარების ახალი ეტაპია. თავისი ლიტერატურული ნააზრევის არსით იგი დგას ისეთ შემოქმედთა გვერდით, როგორებიც არიან ბაირონი, შელი, ლეოპარდი, ლამარტინი, ჰაინე, მიცკევიჩი და სხვანი“ [5, 37].

ბარათაშვილის პოეზიაზე საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ქართული რომანტიზმის საფუძვლებია: ეროვნულ-სალიტერატურო ტრადიცია, XIX საუკუნეში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რამაც განაპირობა მისი ღრმა ეროვნულობა და პროტესტის გამოხატვის აუცილებლობა და ევროპული ლიტერატურულ-ფილოსოფიური ნააზრევი.

დაისმის კითხვა: როგორც მუამბოხე სულის პოეტი ბარათაშვილი რაში ხედავს თავის დანიშნულებას? ლექსში „არ უკიჟინო სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის-თქმას“ იგი წერს:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვაგლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო,
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი“ [2, 43].

აქ მესიანისტური იდეაც იკვეთება, რაც ასევე ნათლად ჩანს მის ლექსში „მერანი“. პოეტის მიზანი შთამომავლობისათვის უვალი გზის გაკვალვაა.

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება,

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“ [2, 52].

ლექსი გამოხატავს ადამიანის სწრაფვას სიკეთისა, უსაზღვროებისა და თავისუფლებისაკენ. მის ანალოგიებს ვხვდებით მსოფლიო პოეზიაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილი უაღრესად ნაციონალური პოეტია, მისი ლირიკული სამყარო ეხმიანება ზოგადსაკაცობრიო აზრებს. ესაა უპირველეს ყოვლისა, ადამიანის დანიშნულების საკითხი საზოგადოებაში, რაც რომანტიზმის შემოიტანა ლიტერატურაში. პოეტის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“. „ბუნების განცდა, რომელიც ჟან-ჟაკ რუსომ დაამკვიდრა მსოფლიო ლიტერატურაში ბარათაშვილთან და ზოგადად ქართველ რომანტიკოსებთან ფილოსოფიურ დაკვირვებას აღძრავს. ბარათაშვილის შემოქმედებაში ბუნებას თავისთავადობა დაკარგული აქვს. პოეტი ხშირად ბუნების წიაღში ეძებს თავშესაფარს“ [5, 39]. ამოებაზე დასაფიქრებლად პოეტი მიაშურებს მტკვრის ნაპირებს, აქ დაფიქრდება იგი, რა არის ადამიანის ყოფა, წუთისოფელი. „საწყაული აღუვსებელი“ პასუხობს თავად. ადამიანი ხომ ერთი მიზნის მიღწევით არ კმაყოფილდება, სიკეთე სიკეთისაკენ მარადიულ სწრაფვაშია, მაგრამ თუკი ერთხელ სოფელს ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ აქვს კი ადამიანის ცხოვრებას აზრი? ბარათაშვილი ამ კითხვასაც თავად პასუხობს ლექსის დასასრულს.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან - შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა,
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს“ [2, 31].

ქვეყნისათვის, უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა მიაჩნია ბარათაშვილს ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობად.

მატერიალისტური მსოფლგაგება, რევოლუციური სულისკვეთება, მართლის თქმის პრინციპი, პროტესტი არსებული სინამდვილისადმი უდევს საფუძვლად ჰაინრიხ ჰაინეს როგორც თეორიულ ნააზრევს, ისე მის მხატვრულ შემოქმედებას. ჰაინე აზრით, მომავლისათვის წარმოებულ ბრძოლაში მხოლოდ ისეთ შემოქმედს შეუძლია შეასრულოს თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება, რომელიც მისი ეპოქის

პროგრესულ სულისკვეთებას ემსახურება და იცავს მის ინტერესებს. თავის „ჰიმნში“ იგი წერს:

„მე ვარ მახვილი, ვარ ცეცხლის ალი,
მე გაგინათეთ გზა ბნელ ღამეში, და როს დაიწყო შეხლა სასტიკი,
მე წინ ვიბრძოდი, წინა რიგებში.
მეგობართ გვამებს დაეფარა მიწა გარშემო,
მაგრამ ჩვენ დაგვრჩა გამარჯვება სასტიკ ბრძოლაში“ [9, 546].

ჰაინე წერს, რომ გამარჯვება ხშირად სიცოცხლის ფასად მოიპოვება და მართალია, ირგვლივ ტრიუმფალური პანაშვიდის გალობა ისმის, პოეტს კი არც ლხინისა და არც გლოვის დრო არა აქვს, რადგან საზოგადოება მისგან ახალ გამარჯვებებს ელის.

იტალიურ რომანტიზმს წინ უსწრებდა რევოლუციური კლასიციზმი. რომანტიკული ლიტერატურის ძირითადი ნიშნები, როგორცაა პატრიოტიზმი და გმირული პათოსი უკვე ახასიათებდა მას. იტალიური რომანტიზმი თავისი არსით დაკავშირებული იყო ეროვნულ-განმანათლებლებელ მოძრაობასთან, მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯაკომო ლეოპარდია. ლეოპარდის ფილოსოფიურმა და წინააღმდეგობებით აღსავსე ლირიკამ სრულად გამოხატა ეპოქის მაჯისცემა. ფრანგული რევოლუციის იდეების მემკვიდრე პოეტის ლექსებში იკითხება აღშფოთება რეაქციის წინაშე. მისი პოეტური ქმნილებები აზრის სიღრმით გამოირჩევიან. პროტესტის გამოხატვის მხრივ ლეოპარდის პოეზია დგას ბაირონის, ჰაინესა და მიცკევიჩის შემოქმედების გვერდით.

ლექსში „გრავ კარლო პეპოლისადმი“ ლეოპარდი აღნიშნავს, რომ ცხოვრება მტანჯველი სიზმარია, განუწყვეტელი შრომა და ჯაფა წელში ღუნავს ადამიანებს. იგი სვამს კითხვას: რა არის ცხოვრება, რატომ მოვედით და საით მივდივართ? ლექსში ჩანს პოეტის სწრაფვა თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ, მისი მებრძოლი სულისკვეთება და არსებული სინამდვილისადმი პროტესტის გრძნობა.

„ზოგი კი ღამობს, ბედნიერებას გაექცეს, მიწყვი,
იცვლის ქვეყნებს და იცვლის ჰაერს, სერავს შორეულ
ზღვათა კიდევანს, მთა-მთა დრტვინვით დაეხეტება,
ადარ დასტოვებს დედამიწის უმცირეს ნაგლეჯს.

ბედნიერებას და სიხარულს მოუხმობს იგი“ [7, 54].

ლექსში აღსანიშნავია ისიც, რომ სიმართლისა და ბედნიერების მაძიებელი ლირიკული გმირი ბუნებაში ეძიებს თავშესაფარს.

რომანტიკოსთა იდეების საუკეთესო გამოხატულებაა ასევე ადამ მიცკევიჩის პოეზია. მიცკევიჩის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი ფორმა თავისუფლებისმოყვარე ლირიკაა, სადაც აისახა მისი რევოლუციურ-პატრიოტული განწყობილობები. მიცკევიჩის პოეზიიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო მისმა პოეტურმა შედეგმა „ოდა ახალგაზრდობისადმი“, რომელსაც წინ უძღვის ციტატა შილერის ლექსიდან „და ძველი ფორმები იმსხვრევა“. არსებული სინამდვილის წინააღმდეგ პოეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებს მომავალ თაობას.

„ჭაბუკო ძმებო, აღვსდგეთ, საერთო
ბრძოლა დავსახოთ ერთადერთ მხსნელად,
ერთი მიზნისკენ სწრაფვით ავენთოთ,
ბრძოლაში ვპოვოთ ძალა და შველა“ [8, 134].

მიცკევიჩი ახალი გზების ძიებისაკენ მოუწოდებს ახალგაზრდებს. მეგრძოლი სულისკვეთების საუკეთესო გამოვლინებაა ასევე მისი „ფარისი“. ლექსში თავგანწირული მხედარი მოუწოდებს თავის რაშს არ შეუშინდეს წინააღმდეგობებს, არ დანებდეს ბედს, იქროლოს სიკეთისა და უსაზღვროებისაკენ.

ამრიგად, რომანტიკოსებმა დღის წესრიგში დააყენეს შემდეგი საკითხები: ბურჟუაზიული წყობის კრიტიკა, სწრაფვა ერთეულიდან ზოგადისაკენ, ამით ისინი დაუპირისპირდნენ რაციონალიზმს, რადგან რაციონალიზმმა XIX საუკუნეს დაუტოვა ფაქტების გაუცნობლობა, ნაჩქარევი თეორიები და რწმენა, რომ თეორიებით შესაძლებელია საზოგადოების გარდაქმნა. რევოლუციურმა ძვრებმა ეს რწმენა გაანადგურა საზოგადოებაში.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც ახასიათებს რომანტიზმს, გახლავთ ის, რომ რომანტიზმის ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას, როგორც მეცნიერებას, რაც მომდინარეობს გოეთედან. მიუხედავად იმისა, რომ გოეთე რომანტიკულს უწოდებდა ყოველივე ავადმყოფურს, კლასიკურს კი ჯანსაღს, ამით მან ფაქტიურად აღიარა, რომ საერთო ტენდენციები შეიძლება აისახოს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურულ პროცესებში

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ან გავლენით, რომლებსაც საერთო ფასეულობები აქვთ და ბიძგი მისცა გლობალიზაციისა და კულტურული ინტეგრაციის საკითხთა განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ რომანტიკულ სტილს გოეთე ბუნდოვანსა და გაურკვეველს უწოდებს, იგი უდიდეს შეფასებას აძლევს ბაირონის შემოქმედებას, საუკუნის უდიდეს ნიჭს უწოდებს მას, რომლის შემოქმედებაშიაც არც ერთი მხიარული სიუჟეტი არ მოიძებნება. ბაირონს არც ანტიკურ და არც რომანტიკულ პოეტად არ მიაჩნია გოეთეს დაა თვლის, რომ ისაა საკუთრივ დღევანდელი დღე, რომლის ლიტერატურულ ნააზრევს განვითარებისაკენ მიჰყავს საზოგადოება. „ბაირონის სითამამე, შემართება და გრანდიოზულობა - განა ეს ყველაფერი ბიძგი არ არის განვითარებისათვის? არ უნდა ვიფიქროთ, რომ თითქოს საამისოდ უთუოდ მხოლოდ გადაჭრით სუფთა და ზნეობრივად წმინდა რამ უნდა ვეძიოთ. ყოველი დიადი წინ სწევს და განავითარებს ადამიანს, ოღონდ უნდა შეგვეძლოს ამის გამოვლენა“ [3, 182].

მსოფლიო სევდა, ქრისტიანობა და მასთან დაკავშირებული რაინდული იდეალები, წუთისოფლის ამოების, ბუნების ფილოსოფიური განცდის (რუსოდან მომდინარე იდეები), პიროვნული „მეს“ და ასევე სხვა საკითხთა წარმოჩენამ განსაზღვრა რომანტიკოსთა შემოქმედების ბუნება. სიყვარული რომანტიკოსებისათვის ამაღლებული გრძნობაა და ყოფიერების შეცნობის საშუალება. საზოგადოდ, „მსოფლიო ლიტერატურის იდეოლოგიური შინაარსი და მიმართულებანი მეცხრამეტე საუკუნისა გამომდინარეობენ საფრანგეთის დიდი რევოლუციით შექმნილი სოციალური ფსიქოლოგიიდან“ [6, 105]. ამ ფსიქოლოგიამ აქცია რომანტიზმი პროგრესული იდეების გამოხატულებად ლიტერატურაში.

რომანტიზმმა ბრძოლა გამოუცხადა ყოველივე ძველსა და დრომოჭმულს და ახალი იდეები დაამკვიდრა ადამიანის ცნობიერებასა და საზოგადოებაში. მან სამყაროს ცენტრში დააყენა ადამიანი თავისი განცდებით, შინაგანი სამყაროთი და ამით ბრძოლა გამოუცხადა კლასიციკლურ ლიტერატურასა და მის ნორმებს.

ლიტერატურა:

1. ბაირონი ლ., ლექსები, თბილისი, „ბაირონის საზოგადოება“, (2013)

2. ბარათაშვილი ნ., თხზულებანი, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, (1972)
3. გოეთე ი., საუბრები ეკერმანთან, თბილისი, „საბჭოთა აჭარა“, (1988)
4. ვარდოშვილი ე., ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბილისი, „უნივერსალი“ (2022)
5. ვარდოშვილი ე., ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა, თბილისი, „უნივერსალი“ (2018)
6. კაპანელი კ., ქართული სული ესთეტიურ სახეებში, თბილისი, „პოლიგრაფსკოლა“, (1926)
7. ლეოპარდი ჯ., ლირიკა, თბილისი „განათლება“, (1985)
8. მიცკევიჩი ა., რჩეული თხზულებანი, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, (1986)
9. ჰაინე ჰ., რჩეული თხზულებანი, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, (1978)

FOR THE NATURE OF ROMANTICISM...

Eka Vardoshvili

Doctor of Philology, Corresponding Member of the
Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Ivane
Javaknishvili Tbilisi State University, Associate Professor
E-mail: eka.vardoshvili@tsu.ge

*Presented by the Institute of Georgian Language and Literature named after Professor
Otar Churgulia of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

Abstract. Romanticism added a new meaning to literature, it became a form of artistic mastery of the world, in the center of which was a person.

The best manifestation of the poetry of the romanticists is the poetry of Lord Byron. Despite the fact that the world sadness is characteristic of his work, Byron always aspired to something new and progressive with his way of life and artistic thinking.

It is worth noting that “Byron’s poetry became a kind of benchmark in the European space, which was compared to all outstanding romanticists of his time and determined the quality of their works” (Vardoshvili).

Despite the fact that Baratashvili is a national poet, his lyrical world resonates with universal thoughts. This is, first of all, the question of a human being’s purpose in society, which romanticism introduced into literature.

Materialistic worldview, revolutionary spirit, the principle of telling the truth and protest against the existing reality are the basis of theoretical thinking of Heine as well as his artistic creation.

One of the eye-catching forms of the work by Mickiewicz is a freedom-loving lyric, which reflected his revolutionary-patriotic sentiments.

Romanticism declared a fight against all the old and outdated and established new ideas in human consciousness and society. It put a man at the center of the universe with his feelings, the inner world, and thus fought against classicist literature and its norms.

Keywords: *Romanticism, poetry, new ideas, XIX century.*